

# ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

# სარჩევი

|                                                           |   |
|-----------------------------------------------------------|---|
| ფინანსური ანგარიშგება.....                                | 1 |
| სარჩევი.....                                              | 2 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                   | 3 |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... | 4 |
| კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....                      | 5 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....                         | 6 |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები..... | 7 |

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                       | პერიოდი<br>დამთავრებული<br>2022 წლის 31<br>დეკემბერს | პერიოდი<br>დამთავრებული<br>2021 წლის 31<br>დეკემბერს | პერიოდი<br>დამთავრებული<br>2020 წლის 31<br>დეკემბერს |
|---------------------------------------|------------------------------------------------------|------------------------------------------------------|------------------------------------------------------|
| <b>ლარებში</b>                        |                                                      |                                                      |                                                      |
| <b>აქტივები</b>                       |                                                      |                                                      |                                                      |
| გრძელვადიანი აქტივები                 |                                                      |                                                      |                                                      |
| ძირითადი საშუალებები                  | 736,450                                              | 791,636                                              | 800,391                                              |
| არამატერიალური აქტივები               | 1,220                                                | 1,435                                                | 1,689                                                |
| ნარგავები                             | 0                                                    | 0                                                    | 0                                                    |
| გაცემული სესხები - გრძელვადიანი       | 0                                                    | 0                                                    | 0                                                    |
| ინვესტიციები                          | 0                                                    | 0                                                    | 0                                                    |
| სხვა ფინანსური აქტივები               | 0                                                    | 0                                                    | 0                                                    |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      | <b>737,670</b>                                       | <b>793,071</b>                                       | <b>802,080</b>                                       |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>             |                                                      |                                                      |                                                      |
| მარაგები                              | 1,631,089                                            | 1,597,742                                            | 1,887,492                                            |
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 1,078,268                                            | 822,415                                              | 503,275                                              |
| წინასწარი გადახდები                   | 0                                                    | 0                                                    | 0                                                    |
| გაცემული სესხები - მოკლევადიანი       |                                                      |                                                      |                                                      |
| ფული სალაროსა და ბანკში               | 11,551                                               | 68,490                                               | 13,494                                               |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         | <b>2,720,908</b>                                     | <b>2,488,647</b>                                     | <b>2,404,261</b>                                     |
| <b>სულ აქტივები</b>                   | <b>3,458,578</b>                                     | <b>3,206,341</b>                                     | <b>2,911,822</b>                                     |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |                                                      |                                                      |                                                      |
| კაპიტალი და რეზერვები                 |                                                      |                                                      |                                                      |
| საწესდებო კაპიტალი                    | 1,167,156                                            | 986,159                                              | 932,865                                              |
| გადაფასების რეზერვი                   | 0                                                    | 0                                                    | 0                                                    |
| გაუნაწილებელი მოგება                  | 700,432                                              | 545,981                                              | 543,670                                              |
| <b>სულ კაპიტალი და რეზერვები</b>      | <b>1,867,588</b>                                     | <b>1,532,140</b>                                     | <b>1,476,535</b>                                     |
| გრძელვადიანი ვალდებულებები            |                                                      |                                                      |                                                      |
| საბანკო კრედიტები - გრძელვადიანი      | 566,265                                              | 228,662                                              | 12,894                                               |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები       | 643,791                                              | 941,528                                              | 1,247,718                                            |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> | <b>1,210,056</b>                                     | <b>1,170,190</b>                                     | <b>1,260,612</b>                                     |
| მიმდინარე ვალდებულებები               |                                                      |                                                      |                                                      |
| სავაჭრო ვალდებულებები                 | 326,318                                              | 563,482                                              | 469,194                                              |
| წინასწარ მიღებული ანაზღაურება         | 0                                                    | 0                                                    | 0                                                    |
| საბანკო კრედიტები - მოკლევადიანი      |                                                      |                                                      |                                                      |
| გადასახდელი დივიდენდები               | 0                                                    | 0                                                    | 0                                                    |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები          | 54,616                                               | 15,906                                               | 0                                                    |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    | <b>380,934</b>                                       | <b>579,388</b>                                       | <b>469,194</b>                                       |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              | <b>1,590,990</b>                                     | <b>1,749,578</b>                                     | <b>1,729,806</b>                                     |
| <b>სულ კაპიტალი ვალდებულებები</b>     | <b>3,458,578</b>                                     | <b>3,281,718</b>                                     | <b>3,206,341</b>                                     |

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                                                                     | პერიოდი<br>დამთავრებული<br>2022 წლის 31<br>დეკემბერს | პერიოდი<br>დამთავრებული<br>2021 წლის 31<br>დეკემბერს |
|-------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------|------------------------------------------------------|
| ლარებში                                                                             |                                                      |                                                      |
| ამონაგები                                                                           | 3,254,116                                            | 2,279,257                                            |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                                               | -2,108,783                                           | -1,417,640                                           |
| პერსონალის ხარჯები                                                                  | -533,319                                             | -393,218                                             |
| სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი                                        | -1,917                                               | -3,067                                               |
| საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)                                     | -281                                                 | -299                                                 |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები                                                 | -19,431                                              | -21,302                                              |
| იჯარის ხარჯი                                                                        | -18,808                                              | -15,000                                              |
| ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი                                                 | -36,887                                              | -26,917                                              |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                | -66,384                                              | -65,489                                              |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                            | -84,413                                              | -76,216                                              |
| <u>საოპერაციო მოგება</u>                                                            | <u><b>383.893</b></u>                                | <u><b>260.109</b></u>                                |
| წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და<br>გადაფასებიდან               | 56,313                                               | 18,590                                               |
| საპროცენტო ხარჯი                                                                    | -107,399                                             | -97,378                                              |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                             | -3,703                                               | -97,378                                              |
| <u>მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი<br/>ოპერაციებიდან</u> | <u><b>329.104</b></u>                                | <u><b>181.321</b></u>                                |
| მოგების გადასახადი                                                                  | -53,257                                              | -73,034                                              |
| <u>მოგება / (ზარალი)</u>                                                            | <u><b>275.847</b></u>                                | <u><b>108.287</b></u>                                |

## კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

| ლარებში                                                                                           | სააქციო<br>კაპიტალი (შპს-<br>ს შემთხვევაში<br>'კაპიტალი',<br>კოოპერატივის<br>შემთხვევაში<br>საპაიო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება / ზარალი | სულ<br>საკუთარი<br>კაპიტალი |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------|-----------------------------|
| ადრე წარმოდგენილი ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო თარიღისთვის                      | <b>932,865</b>                                                                                                 | <b>543,670</b>                   | <b>1,476,535</b>            |
| დაკორექტირებული ნაშთი <b>2019</b> წლის საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო თარიღისთვის                 | <b>932,865</b>                                                                                                 | <b>543,670</b>                   | <b>1,476,535</b>            |
| 2021 წლის მოგება/(ზარალი)                                                                         |                                                                                                                | 108,287                          | <b>108,287</b>              |
| <b>2021 წლის მთლიანი</b> სრული შემოსავალი/(ზარალი)                                                | <b>53,294</b>                                                                                                  | <b>108,287</b>                   | <b>161,581</b>              |
| საანგარიშო 2021 წლის განმავლობაში დივიდენდის<br>გამოცხადება                                       |                                                                                                                | -105,976                         | <b>-105,976</b>             |
| ნაშთი საანგარიშო <b>2021</b> წლის ბოლო თარიღისათვის                                               | <b>986,159</b>                                                                                                 | <b>545,981</b>                   | <b>1,532,140</b>            |
| ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი<br>(წინა პერიოდის შეცდომების გასწორების გავლენა) |                                                                                                                | -1,005                           | <b>-1,005</b>               |
| 2022 წლის მოგება/(ზარალი)                                                                         |                                                                                                                | 275,847                          | <b>275,847</b>              |
| <b>2022 წლის მთლიანი</b> სრული შემოსავალი/(ზარალი)                                                | <b>180,997</b>                                                                                                 | <b>274,842</b>                   | <b>455,839</b>              |
| საანგარიშო 2022 წლის განმავლობაში დივიდენდის<br>გამოცხადება                                       |                                                                                                                | -120,391                         | <b>-120,391</b>             |
| ნაშთი საანგარიშო <b>2022</b> წლის ბოლო თარიღისათვის                                               | <b>1,167,156</b>                                                                                               | <b>700,432</b>                   | <b>1,867,588</b>            |

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

|                                                          | 2022                 | 2021                 |
|----------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან          | -116,185             | 390,488              |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან        | -5,789               | -5,454               |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან           | 136,535              | -293,928             |
| <u>წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</u> | <u><b>14,561</b></u> | <u><b>91,106</b></u> |
| სავალუტო კურსის ეფექტი                                   | -71,500              | -36,110              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში              | <u>68,490</u>        | <u>13,494</u>        |
| <u>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</u>            | <u><b>11,551</b></u> | <u><b>68,490</b></u> |

# ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს რესტორატორ ს/კ 401959047 (კომპანია) 2011 წელს დაფუძნდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსების დღიდან დღემდე ახორციელებს სარესტორნო დანადგარების და ჭურჭლის იმპორტს, შემდგომ კი რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე. დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მას., III კვ., კორპ. N6/ვ.

კომპანიის წილის მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

ბონდო გოლეტიანი პ/ნ 01017010532 - 20%;

სალომე მელაძე პ/ნ 51001001364 - 20%;

ჭიჭიკო გოლეტიანი პ/ნ 01017004624 - 60%.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 20 თანამშრომელს (2021 წელს 20 თანამშრომელს; 2020 წელს 22 თანამშრომელს)

## 2 შედგენის საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### 2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

### 2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

### 3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

#### 3.1 უცხოური ვალუტა

##### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს; ერთი ევროსათვის შეადგენს 2.8844 და ათი ჩინური იუანისთვის შეადგენს 3.9063 (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი, ერთი ევრო 3.5040). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 3.2 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით, რაც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით.

ძირითადი საშუალებები, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები - 30 წელი;  
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 5 წელი;  
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;  
სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;  
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 7-10 წელი.

### 3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15 %-ით.

### 3.4 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

### 3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

### 3.6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

### 3.7 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

### 3.8 ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალი სიკვდიური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ეკვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლიდა წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2023 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი - სალომე მელაძე

